



2023  
წელი

შპს გურამ  
თავართქილაძის  
სახელობის  
თბილისის სასწავლო  
უნივერსიტეტი

პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების  
წესი

## მუხლი 1 რეგულირების სფერო

- 1.წინამდებარე დოკუმენტი არეგულირებს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში „უნივერსიტეტი“) პლაგიატის აღმოჩენის, მისი თავიდან აცილების, პლაგიატის ფაქტებზე რეაგირების საშუალებებსა და პროცედურას;
- 2.წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ნორმების მოქმედება ვრცელდება უნივერსიტეტის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალსა და უნივერსიტეტის სტუდენტებზე.

## მუხლი 2 წესის მიზანი

წინამდებარე წესის მიზანია უნივერსიტეტის სივრცეში დანერგოს ურთიერთპატივისცემის, უნივერსიტეტის, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა რეპუტაციის დაცვის მექანიზმები, ასევე, უზრუნველყოფილ იქნეს უნივერსიტეტში არსებული ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, უნივერსიტეტის სივრცეში და მის გარეთ სხვათა ნაშრომის პატივისცემა, რისთვისაც უნივერსიტეტი ქმნის პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის, მათზე რეაგირების პროცედურებსა და მექანიზმებს.

## მუხლი 3 პლაგიატის არსი და სახეები

1.პლაგიატი არის სხვისი ნაშრომის, იდეის, გამოგონების ან ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტის მითვისება, შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე;

2.პლაგიატის სახეებია:

**პირდაპირი პლაგიატი** - კონკრეტული წყაროდან სხვისი მოსაზრების, იდეის, ნამუშევრის, ფორმულის, გრაფიკის ან ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტის პირდაპირ და სიტყვა სიტყვით გადატანა, წყაროს მითითების გარეშე;

**თვითპლაგიატი** - საკუთარი მოსაზრების, იდეის, ნამუშევრის, ფორმულის, გრაფიკის ან ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტის გადატანა, წყაროს მითითების გარეშე;

**მოზაიკური პლაგიატი** - სხვადასხვა წყაროდან აღებული მოსაზრების, იდეის, ნამუშევრის, ფორმულის, გრაფიკის ან ინტელექტუალური საკუთრების სხვა პროდუქტის გადატანა და გაერთიანება შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე;

**შემთხვევითი პლაგიატი** - კვლევის განხორციელებისას გამოჩენილი უხეში დაუდევრობა, რომლის შედეგადაც კვლევის ავტორი სრულფასოვნად არ გაეცნო კვლევის თემატიკის ირგვლივ არსებულ ნაშრომებს, რის შედეგადაც სამეცნიერო/აკადემიურ წრეებში გამოთქმული იდეა, მოსაზრება ჩათვალა პირად მოსაზრებად და ასახა ის საკუთარ კვლევაში/ნაშრომში შესაბამისი წყაროს მითითების გარეშე. მიუხედავად, პლაგიატის განზრახვის არ არსებობისა, პლაგიატის ეს ფორმაც განიხილება როგორც პლაგიატი.

## მუხლი 4 პლაგიატის პრევენცია

1.უნივერსიტეტი პლაგიატის შესაძლო შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

ა. უზრუნველყოფს აკადემიური წერის სასწავლო კურსის ეფექტურობის გაზრდას, ამკვიდრებს უნივერსიტეტში აკადემიური წერის კულტურას;

ბ. შესაბამისი პირებისთვის უზრუნველყოფს საინფორმაციო აქტივობებს პლაგიატის პრევენციისთვის;

გ. პლაგიატთან დაკავშირებულ ინფორმაციას ასახავს სასწავლო კურსის სილაბუსებში და უზრუნველყოფს შესაბამისი სასწავლო კურსებით გათვალისწინებული აქტივობების პლაგიატზე შემოწმებას;

დ. პლაგიატის პრევენციისთვის იყენებს შესაბამის ელექტრონულ პროგრამას;

ე. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე განათავსებს/ანახლებს ინფორმაციას პლაგიატის პრევენციისთვის.

2. წინამდებარე წესით გათვალისწინებული, პლაგიატის პრევენციის მიზნებიდან ეფექტურად მისაღწევად, უნივერსიტეტში მოქმედებს ცალკეულ ნაშრომებზე, ორიგინალი ტექსტის ინდივიდუალური ზღვრული ოდენობები, რომლებიც განისაზღვრება შემდეგნაირად:

- **საბაკალავრო ნაშრომი** - ორიგინალი ტექსტი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 70 %, თანხვედრა არ უნდა აღემატებოდეს 30 %
- **სამაგისტრო ნაშრომი** - ორიგინალი ტექსტი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 80 %, თანხვედრა არ უნდა აღემატებოდეს 20 %
- **სამეცნიერო ნაშრომი** - ორიგინალი ტექსტი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 85 %, თანხვედრა არ უნდა აღემატებოდეს 15 %
- **ცალკეული სასწავლო კურსით გათვალისწინებული წერიტი აქტივობა (ესე, რეფერატი, წერიტი დავალება და ა.შ.)** - ორიგინალი ტექსტი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 70 %, თანხვედრა არ უნდა აღემატებოდეს 30 %
- **სტუდენტის ნაშრომი უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციაზე** - ორიგინალი ტექსტი უნდა შეადგენდეს სულ მცირე 75 %, თანხვედრა არ უნდა აღემატებოდეს 25 %

3. წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობები მოიცავს ანტიპლაგიატის პროგრამით გამოვლენილ თანხვედრას და არა პლაგიატის მაჩვენებელს. პლაგიატის მინიმალური ნიშნების იდენტიფიცირება წარმოადგენს შესაბამისი ნაშრომში შეფასება 0-ის განსაზღვრის საფუძველს.

### **მუხლი 5 პლაგიატის აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების საშუალებები უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის**

1. სტუდენტებისთვის პლაგიატის აღმოჩენისა და რეაგირების საშუალებები გამოიყენება შემდეგ შემთხვევებში:

ა. სასწავლო კურსით გათვალისწინებული წერიტი დავალების პლაგიატზე შემოწმება;

ბ. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება;

გ. საკონფერენციო ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება;

დ. საუნივერსიტეტო გამოცემებში გამოსაქვეყნებელი ნაშრომის პლაგიატზე შემოწმება.

2. ცალკეული სასწავლო კურსებით განსაზღვრული აქტივობები (ესე, რეფერატი, პროექტი და ა.შ.), მათი სპეციფიკიდან გამომდინარე სავალადადებულად ექვემდებარებიან პლაგიატზე შემოწმებას. ყველა ის დავალება რომლის შესრულებისათვის აუცილებელია შესაბამისი წყაროების ციტირება (ან/და საჭიროებს სხვადასხვა მასალიდან ინფორმაციის ამოკრება, გაანალიზება, შეჯერებას) უნდა შემოწმდეს პლაგიატზე ამ წესით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად. პლაგიატზე შემოწმება ხდება ელექტრონული პროგრამის საშუალებით.

3. პლაგიატის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში, სასწავლო კურსის აკადემიური/მოწვეული პერსონალი ანულებს სტუდენტის ნაშრომს და აძლევს სტუდენტს შესაბამის უკუკავშირს.

4. სტუდენტი უფლებამოსილია გაასაჩივროს აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება, რექტორის სახელზე განაცხადის წარდგენის გზით, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ მისთვის უკუკავშირის მიცემიდან არა უგვიანეს 5 კალენდარული დღის ვადაში. სტუდენტის განაცხადს განიხილავს

დისციპლინური კომისია, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომლის სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წერიტი დავალება ვალდებულია ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს წარუდგინოს ანგარიში პლაგიატის თაობაზე. ანგარიშის ფორმა დადგენილია წინამდებარე წესის დანართი N1-ით. ფაკულტეტის დეკანი წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე ყოველი სემესტრის ბოლოს ადგენს პლაგიატზე ნაშრომების შემოწმების ერთიან ანგარიშს, რომელსაც უგზავნის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს;

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშები ეგზავნება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც მისი კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებს ანგარიშში მოცემულ ინფორმაციას და საჭიროების შესაბამისად, უკუკავშირს აწვდის ფაკულტეტის დეკანს;

7. უნივერსიტეტის სტუდენტთა მიერ შესრულებული საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატის პროგრამით შემოწმება სავალდებულოა. საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების წესი დადგენილია საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესით და სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების წესით;

8. იმ შემთხვევაში თუ პლაგიატი ნაშრომში იდენტიფიცირდება პირისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინჭების შემდეგ, შესაბამისი დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე დისციპლინური კომისია განიხილავს საქმეს. იმ შემთხვევაში თუ პლაგიატი ნამდვილად დადასტურდა კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება კვალიფიკაციის გაუქმების შესახებ. დისციპლინური კომისიის ფუნქციონირების წესი და პროცედურა განისაზღვრება უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით.

9. სტუდენტის ნებისმიერი სამეცნიერო, საკონფერენციო ნაშრომი, სტატია ასევე სავალდებულო წესით ექვემდებარება პლაგიატის ამომცნობ ელექტრონულ პროგრამაში შემოწმებას. პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში შესაბამის ღონისძიებაზე/გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, რის შედეგადაც საკითხს განიხილავს დისციპლინური კომისია. დისციპლინური კომისიის ფუნქციონირების წესი და პროცედურა განისაზღვრება უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით.

## **მუხლი 6 პლაგიატის აღმოჩენისა და პლაგიატზე რეაგირების საშუალებები უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიმართ**

1. უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო ნაშრომში პლაგიატი იდენტიფიცირდება შემდეგი საშუალებით:

- პირველი ეტაპი: პლაგიატის ამომცნობი ელექტრონული პროგრამა;
- მეორე ეტაპი: ელექტრონული პროგრამით ნაშრომის შემოწმების შემდეგ, პლაგიატის ნიშნების არსებობისას ნაშრომზე დგება ორი ფარული რეცენზია, რომლის ფარგლებში ნაშრომს ანონიმურად აფასებენ რეცენზენტები და ადგენენ დასკვნას. იმ შემთხვევაში თუ ორივე რეცენზენტი დასკვნაში აღნიშნავს პლაგიატის არსებობას, ნაშრომი მიიჩნევა პლაგიატად.

2. უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალის სამეცნიერო ნაშრომის პლაგიატზე წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული წესით შემოწმებას უზრუნველყოფს შესაბამის ღონისძიებაზე/გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი. პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში ის განცხადებით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს, რის შედეგადაც საკითხს განიხილავს

დისციპლინური კომისია. დისციპლინური კომისიის ფუნქციონირების წესი და პროცედურა განისაზღვრება უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით.

### **მუხლი 7 დასკვნითი დებულებები**

- 1.წინამდებარე დებულება მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის სამართლებრივი აქტი-ბრძანებით.
2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია რექტორის სამართლებრივი აქტით - ბრძანებით.
3. წესი ძალაშია რექტორის მიერ მისი დამტკიცების თაობაზე ბრძანების გამოცემის მომენტიდან.

დანართი N1

ფაკულტეტი:

საგანმანათლებლო პროგრამა:

აკადემიური წელი:

სემესტრი:

სასწავლო კურსი	პლაგიატზე შემოწმებული აქტივობა	აკადემიური/მოწვეული პერსონალი	შემოწმებულ სტუდენტთა რეოდენობა	პლაგიატის შემთხვევათა რაოდენობა	რეაგირება	გასაჩივრების სტატისტიკა	საბოლოო შედეგი